


# 17 ოჯახიდან 29 ადამიანს სისხლში ტყვია აღმოაჩნდა, მათგან 19 ბავშვია – ახალი კვლევა

 netgazeti.ge/news/353273

გიორგი დიასამიძე



გარამოსდაცვითმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოქალაქეების საინიციატივო ჯგუფთან ერთად, შვედეთის მთავრობისა და ფონდ „ორბელიანი საქართველოს“ მხარდაჭერით, თბილისის ქუჩის მტვერსა და ოჯახების ყოველდღიური მოხმარების 268 ნივთში ტყვიის შემცველობა შეისწავლეს.

კვლევის ფარგლებში 268 სინჯი შეისწავლეს, რომელთაგან 84 სინჯი სურსათს და სასმელ წყალს წარმოადგენდა, ხოლო 184 სინჯი საყოფაცხოვრებო ნივთი იყო, მათ შორის სათამაშოები, კოსმეტიკა, ჰიგიენური და სარეცხი საშუალებები, სამშენებლო მასალები, საყოფაცხოვრებო მტვერი და საოჯახო ნივთები.

როგორც კვლევაში ვკითხულობთ, სინჯები თბილისის მაშტაბით შერჩეული 17 ოჯახიდან აიღეს, საიდანაც 29 პიროვნებას პქონდა ტყვიის შემცველობა სისხლში, ხოლო მათგან 19 ბავშვია.

ავტორების თქმით, 268 სინჯიდან 84 იყო სურსათი და წყალი, 77 სათამაშო, 34 სამშენებლო-სარემონტო მასალები, 17 საყოფაცხოვრებო მტვერი, 22 კოსმეტიკა, 21 საოჯახო და სამზარეულოს ნივთები, 5 საყოფაცხოვრებო ქიმიკა, 3 ბიჟუტერია და 5 სხვადასხვა.

**კვლევის მიხედვით, 268 სინჯიდან ტყვია აღმოჩნდა შემდეგში:**

- სურსათის 84 სინჯიდან 5-ში დაფიქსირდა ტყვიის მაღალი კონცენტრაცია;
- სათამაშოების 77 სინჯიდან 19-ში დაფიქსირდა ტყვიის მაღალი კონცენტრაცია;
- სამშენებლო და სარემონტო მასალის 34 სინჯიდან 13-ში დაფიქსირდა ტყვიის მაღალი კონცენტრაცია;
- კოსმეტიკის 22 სინჯიდან 2-ში აღმოჩნდა ტყვიის მაღალი კონცენტრაცია;
- საოჯახო და სამზარეულოს ნივთების 21 სინჯიდან ერთში აღმოჩნდა ტყვიის მაღალი კონცენტრაცია;
- ბიჟუტერიის 3 სინჯიდან ორში აღმოჩნდა ტყვიის მაღალი კონცენტრაცია, (მათ შორის ერთი იყო 5 წლის ბავშვის სამაჯური);
- 5 სხვადასხვა კატეგორიის სინჯიდან ტყვია აღმოჩნდა 1 სინჯში (2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილ მაისურში).

როგორც კვლევაში ვკითხულობთ, 5 საყოფაცხოვრებო ქიმიის (სარეცხი და საწმენდი საშუალებები) სინჯიდან ტყვია არცერთში არ დაფიქსირებულა, ტყვია არ აღმოჩნდა ასევე წყალში, კერამიკის ჭურჭელში და ოჯახში დაღეჭილ მტვერში. თუმცა, ამავე კვლევით, **ჭამში ტყვია აღმოჩნდა შესწავლილი ოჯახების თითქმის ყოველ მე-5 ნივთში, 18%-ში.**

შესაბამისად, როგორც კვლევის ავტორები აცხადებენ, თბილისის შესწავლილ 17 ოჯახში ტყვიის გავრცელების საშიშ წყაროს წარმოადგენენ:

- სამშენებლო და სარემონტო მასალები;
- სათამაშოები;
- სუნელები;
- კოსმეტიკა;
- სამზარეულოს ნივთები;
- შეღებილი ტექსტილი.

შესავალი

კვლევის მიზანი

მეთოდოლოგია

მიგნებები ოჯახების დონეზე

ტყვია სამშენებლო-სარემონტო მასალებში


ტყვია სათამაშოებსა და ბავშვის ნივთებში

ტყვია სურსათში

ტყვია კოსმეტიკურ საშუალებებსა და ბიჟუტერიაში

ტყვია სხვა ნივთებში

ტყვია ქუჩის მტვერში



ნახ.1. კვლევაში მონაწილე ოჯახები საცხოვრებელი ადგილმდებარეობის მიხედვით

## რეკომენდაციები

რეკომენდაციები შეიმუშავეს: ეკა ლალიაშვილმა, მანანა ქოჩლაძემ, ვახტანგ კობალაძემ და გელა კვაშილაჯამ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

ჯანდაცვის სამინისტროს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ფინანსთა სამინისტრომ

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს:

### **თბილისის მერიას**

წინამდებარე კვლევა მოხალისეობრივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა, ხოლო მისი ავტორია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი კვლევების ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, გურანდა ავქოფაშვილი, ხოლო დამკვეთი – აქტიურ მოქალაქეთა, საქართველოში რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საკითხით დაინტერესებული ქართველი და უცხოელი პირების არაფორმალური საინიციატივო ჯგუფი (Facebook ჯგუფი „Plumbum (Lead) in Georgia ტყვია საქართველოში“).

კვლევის ფინანსური მხარდაჭერია ფონდი „ორბელიანი საქართველო“, რომელიც აფინანსებს მოხალისეობრივ პროექტებს. კვლევა ჩატარდა 2019 წლის იანვარ-მარტში.

